ქცევის კოდექსი

2018



1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

VEON

ჩვენ წარმოგიდგენთ ქცევის კოდექს, რათა ხაზი გავუსვათ ეთიკის კულტურის გაძლიერების მნიშვნელობას ვიონში. ჩვენ ვართ ერთგულნი ვუხელმძღვანელოთ კომპანიას, რომელიც ცნობილია მისი კეთილსინდისიერებით და იგივეს მოველით ყოველი თანამშრომლისგან, რომელიც მუშაობს ჩვენთვის და ჩვენთან ერთად.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ თავს დავუწესოთ უმაღლესი სტანდარტები, რადგან ჩვენი წარმატება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ჩვენს პატიოსნებას, პირობების შესრულებასა და შეცდომების აღიარებას. ძლიერი კორპორატიული კულტურა, დაფუძნებული კეთილსინდისიერების პრინციპზე განაპირობებს უკეთეს ბიზნეს ოპერირებას, რაც აუცილებელია ჩვენი წარმატებისთვის.

ჩვენ გთხოვთ, რომ თითოეულმა თქვენთაგანმა იგრძნოს პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარ თავზე, ასევე კოლეგებზე, რათა დაიცვათ ყველა ის სტანდარტი, რომელიც გაწერილია კოდექსში. თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ ვინმეს ქცევაში, ჩვენ გვინდა, რომ ხმა აიმაღლოთ, რათა მოგვეცეს საშუალება ერთად გადავჭრათ არსებული პრობლემა. ყოველთის არ არის ადვილი ვისაუბროთ ხმამაღლა, სწორედ ამიტომ გთავაზობთ რამოდნეიმე გზას, იმისთვის რომ დააფიქსიროთ თქვენი აზრი, ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ ნებისმიერი შევიწროვება თქვენი მისამართით არ იქნება უგულვებელყოფილი.

გთხოვთ, წაიკითხოთ ეს კოდექსი ყურადღებით. კოდექსი პირდაპირ კავშირშია ჩვენს ღირებულებებთან - გულწრფელი, პარტნიორი, კლიენტით მონუსხული, ნოვატორი, და ანტრეპრენიორი, რომლებიც მუდამ უნდა გვახსოვდეს. ჩვენ ერთად დიდი გზა გამოვიარეთ, და ერთად ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ჩვენს მიზანს, ვიყოთ მსოფლიო ლიდერები ჩვენს ბაზარზე.

ქაან თერზიოღლუ და სერგი ჰერერო

Co-CEOs

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

VEON

ვიონი და მისი პერსონალი მუდამ უნდა იქცეოდეს **პატივისცემით, კეთილსინდისიერად და ეთიკურად.**

ქცევის კოდექსი
2018

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

VEON

შესავალი

ჩვენი სიძლიერე ჩვენი თანამშრომლებია.

წინამდებარე ქცევის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებს კომპანიის ყველა საკვანძო საკითხში/ზონაში/არეალში, მათ შორისა ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამისა და კორუფციის მიმართ, იმისათვის რომ ერთად მივაღწიოთ მიზანს და ვმართოთ ჩვენი ღირებულებები:

კოდექსზე საბოლოო პასუხისმგებელი პირია ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო უფლებამოსილება კოდექსის ინტერპრეტაციასა და აღსრულებაზე დელეგირებულია მთავარ შიდა აუდიტისა და კომპლაენს ოფიცერზე, ადამიანური რესურსების დირექტორსა და ჯგუფის გენერალურ მდივანზე.

ჩვენი ღირებულებები:

კლიენტით მონუსხული: ვუსმენთ, ვსწავლობთ და ვიზრდებით კლიენტებთან ერთად. **ანტრეპრენიორი:** ვართ მოქნილები, შეგვწევს უნარი ავიტაცოთ შესაძლებლობები და გადავაქციოთ ისინი ახალ, წარმატებულ რეალობად

ნოვატორი: სიახლეების დაუღალავი ძიებით ვაუმჯობესებთ მომხმარებლის გამოცდილებას

პარტნიორი: ვმუშაობთ გუნდურად, ვსწავლობთ შეცდომებზე და ვაღწევთ წარმატებას

გულწრფელი: მტკიცედ ვიცავთ პატიოსნებისა და ეთიკის უმაღლეს სტანდარტს

ვისზე ვრცელდება კოდექსი?

წინამდებარე კოდექსის მოქმედება ვრცელდება ყველა თანამშრომელზე (დროებითი თანამშრომლებისა და კონტრაქტორების ჩათვლით), დირექტორებზე, ოფიცრებსა და VEON-ის საბჭოს წევრებზე. ქცევის კოდექსის მიზნებისათვის „VEON“ აღნიშნავს შპს VEON-ს, ჯგუფის საბოლოო დედა კომპანიას, აგრეთვე მის მიერ საკონტროლო წილით ფლობილ ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ყველა შვილობილ კომპანიას, ერთობლივ საწარმოს ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა პირებს. ჩვენი მოლოდინია, რომ ყველა პირი, რომელთანაც ვთანამშრომლობთ, მათ შორის აგენტები, წარმომადგენლები, შუამავლები ან სხვა მესამე მხარეები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ VEON-ის სასარგებლოდ ან მისი სახელით, აგრეთვე ერთობლივი საწარმოები, რომლებშიც VEON-ს არ გააჩნია საკონტროლო წილი, პატივს სცემენ და დაემორჩილებიან ქცევის შესაბამის სტანდარტებს.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

ვიონის ქცევის კოდექსი

1. ჩვენი თანამშრომლები
2. მესამე მხარეებთან ურთიერთობა
3. საჯარო უწყებებთან და სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობა
4. კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა და კონფიდენციალურობა
5. ვიონის აქტივების დაცვა
6. კოდექსის გამოყენება

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

ჩვენი თანამშრომლები

ჩვენი სიძლიერე ჩვენი თანამშრომლებია. **ჩვენ პატივს ვცემთ ყოველი ადამიანის უფლებებსა და ღირსებას, და გვწამს, რომ მრავალგვარობა და განსხვავებულობა ჩვენი კონკურენტული უპირატესობის ნაწილია.** VEON ნებისმიერ დროს ინარჩუნებს პატივისცემის, ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და ღია კომუნიკაციის ხელშემწყობ გარემოს.

განსხვავებულობა და ჩართულობა

VEON მხარს უჭერს განსხვავებულობას, პატივისცემას, ჩართულობას და დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას ყველა პირისათვის. **ჩვენ ხელს ვუწყობთ უსაფრთხო და პროფესიონალურ გარემოს და ვგმობთ ძალადობის ან შეურაცხყოფის ყველანაირ ფორმას.**

ჩვენ, ვიცვათ დასაქმების შესახებ მოქმედ ყველა კანონს, ყველგან სადაც ვსაქმიანობთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები შერჩევის, მიღების, განვითარების და წინსვლის თაობაზე დაფუძნებულია დამსახურებაზე, კვალიფიკაციაზე, უნარებზე, მიღწევებსა და მათ პოტენციალზე.

ჩვენ პატივს ვცემთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და არ ვაძლევთ საშუალებას ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა რასა, რელიგია, სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური მდგომარეობა ან შრომისუუნარობა, გავლენა იქონიონ ჩვენს შეფასებაზე.

შევიწროება

VEON არ ეგუება არცერთ შეუსაბამო ქცევას ან ისეთ მოპყრობას, რომელიც დამამცირებელი, დამაშინებელი ან მტრულია ან/და უსაფუძვლოდ ხელისშემშლელია სამუშაოს შესრულებისას. ჩვენ, ჩვენი თანამშრომლებისაგან მოველით პატივისცემას სხვებთან მიმართებაში და ისეთი შემთხვევების თავიდან არიდებას, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს შეუსაბამო ქცევად. მაგალითისთვის, VEON კრძალავს ისეთ ქცევას, როგორიცაა:

- აგრესიული ან შეურაცხმყოფელი საუბარი;
- პორნოგრაფიული ხასიათის ან დამამცირებელი კომენტარების ან სურათების გავრცელება;
- არასასურველი სექსუალური შემოთავაზებები;
- უხამსი ან შეურაცხმყოფელი ჟესტები ან ხუმრობები;
- შემაშინებელი ან მუქარის შემცველი ქცევა; და
- საშიში, შეურაცხმყოფელი ან ძალადობრივი ქმედება ან ასეთი ქმედების საფრთხე.

თქვენ, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიმართოთ პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექციას ან გამოიყენოთ ეთიკისა & კომპლაენსის „SpeakUp" ხაზი პრობლემის დასაფიქსირებლად.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო

VEON უზრუნველყოფს დაცულ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, ასევე ამაღლებს ცნობიერებას უსაფრთხოების შესაძლო რისკების და მათი მართვის შესახებ. ჩვენ თავს ვარიდებთ სახიფათო ქმედებებს და უზრუნველვყოფთ საკუთარ და სხვათა უსაფრთხოებას. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ **ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკა**.

ჩვენ, მკაცრად ვკრძალავთ ჩვენს სამუშაო ადგილებზე უკანონო ნივთიერებების გაყიდვას, შენახვას, გავრცელებას ან გამოყენებას, აგრეთვე რეცეპტით გაცემული მედიკამენტების ბოროტად გამოყენებას. დაუშვებელია, ნარკოტიკების, ალკოჰოლური ან სხვა ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს მუშაობა, რომელიც ხელს შეგიშლით უსაფრთხოდ და ეფექტურად შეასრულოთ თქვენი სამუშაო, ან უხერხულობას შეუქმნის ან ზიანს მიაყენებს VEON-ს.

თუ იგრძნობთ, რომ დგახართ უსაფრთხოების პრობლემის წინაშე, ან თქვენ ან თქვენს კოლეგას სჭირდება დახმარება, დაუკავშირდით თქვენს უშუალო ხელმძღვანელს ან პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექციას. ჩვენ, აღმოგიჩენთ დახმარებასა და მხარდაჭერას, და ამავდროულად დავიცავთ კონფიდენციალურობას.

ჩვენ ვიცავთ ადგილობრივ გარემოსდაცვით კანონმდებლობას და ვცდილობთ შევამციროთ გარემოსა და ჯანმრთელობისათვის ჩვენი საქმიანობის შედეგად მიყენებული ზიანი, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ნარჩენების და ემისიების შემცირების გზით.

პირადი ურთიერთობები

ვინაიდან, VEON პატივს სცემს თანამშრომელთა პირადი ინტერესებისა და კონფიდენციალობის დაცვას, ის **ჩვეულებრივ არ ინტერესდება პირადი ურთიერთობებით, როდესაც ეს ურთიერთობები უარყოფითად არ აისახება სამუშაოს შესრულებაზე ან VEONის რეპუტაციასა თუ ბიზნეს ინტერესებზე.** თანამშრომლებთან რომანტიკული ურთიერთობები შეიძლება იყოს რთული და არასწორად გაგებული, ასე რომ, თუ აღმოჩნდებით მსგავს ურთიერთობაში, პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მიმართეთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს ან პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექციას.. გააკეთეთ სწორი განმარტებები და მიიღეთ რჩევა. გამჭვირვალობა და გულახდილობა აუცილებელია;

Q&A: ჩვენი თანამშრომლები

Q: რას ნიშნავს პრაქტიკაში „შექმნა პატივისცემის, ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და ღია კომუნიკაციის გარემო“?

A: ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნავს, მოექცე სვას ისე, როგორც გინდა თავად რომ გექცეოდნენ. ამ უკანასკნელს ვერც კოდექსი და ვერც რაიმე კანონი ვერ დაარეგულირებს

მაგალითად:

- ნუ მიისაკუთრებ სხვის მიღწევას და ნაშრომს
- თანამოსაუბრესთვის გამჟღავნების გარეშე ნუ ჩაიწერ შეხვდერას (ეს შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო ზოგიერთ ქვეყანაში და ყოველთვის, ნდობის დაკარგვის მიზეზი)
- არ დაარღვიო კონფიდენციალობა
- პატივი ეცი საკუთარ დროს (რამდენადაც შესაძლებელია)
- წაახალისე შეხედულებები, მათ შორის განსხვავებული ხედვები და იდეები
- მოუსმინე

Q: ხანდახან ჩემი უფროსის ქცევა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს - დალევას მთავაზობს ან მიწყებს უხერხულ საუბარს, როდესაც არავინაა ირგვლივ. რა მოვიმოქმედო?

A: თუ კი თქვენი უფროსის ქცევა მიუღებელია თქვენთვის, საუკეთესო გამოსავალია ჯერ მას გაუზიაროთ ამის შესახებ. შესაძლოა ის ვერ ხვდებოდეს, რომ გაწუხებთ. თუმცა, თუ მასთან საუბრის მიუხედავად საკითხი არ მოგვარდა, ან მასთან ამ საკითხზე პირადად საუბარისას უხერხულად გრძნობთ თავს, საკითხის დაფიქსირება შეგიძლიათ ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული საკითხების დირექციასთან ან ეთიკისა და კომპლაენს SpeakUp ცხელი ხაზის გამოყენებით.

მესამე მხარეებთან ურთიერთობა

ჩვენს პარტნიორებთან, მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან თუ სხვებთან ურთიერთობაში VEON ასევე იცავს პატივისცემის, ეთიკისა და პატიოსნების მაღალ სტანდარტს.

ჩვენი ქცევა აისახება და გავლენას ახდენს ჩვენს რეპუტაციასა და ჩვენს ორგანიზაციაზე; VEON მუდმივად ცდილობს, შეინარჩუნოს ჩვენი საზოგადოების და ინდუსტრიის ეთიკური, პასუხისმგებელი და პოზიტიური წევრის პოზიცია, რაც ყოველთვის უნდა გახსოვდეთ თქვენი ქმედებების, ქცევების და საუბრის დროს.

ანტიკორუფციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა

VEON იცავს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მოქმედ კანონს. VEON-ს გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამის ან კორუფციის ნებისმიერი ფორმის მიმართ, ნებისმიერ გარემოში, უშუალოდ ან VEON-ის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ. ჩვენ ველით ნულოვან ტოლერანტობას ყველა პირისგან, რომელიც მუშაობს ჩვენთან ან ჩვენთვის. VEON-ის სახელით მოქმედ არცერთ თანამშრომელს ან მესამე მხარეს არ შეუძლია კორუფციულად შესთავაზოს, შეპირდეს, გასცეს ან ნება დართოს რომელიმე პირისათვის ფულის ან რაიმე ღირებულის გადაცემას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ბიზნეს გარიგებებთან დაკავშირებით, VEON-ისთვის ბიზნესის მოპოვების ან შენარჩუნების ან არასათანადო უპირატესობის უზრუნველყოფის მიზნით. ქრთამის გადახდაზე უარის თქმის

შემთხვევაში არ მოხდება რომელიმე პირის თანამდებობრივად დაქვეითება, დაჯარიმება და არ გავრცელდება სხვა სანქციები მაშინაც კი, თუ ასეთი უარი იწვევს ბიზნეს შესაძლებლობის დაკარგვას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.

საჩუქრები და წარმომადგენლობითი ხარჯები

მოკრძალებული საჩუქრების მიღება ან გაცემა და წარმომადგენლობითი ხარჯები (როგორიც არის ყავა ან ბრენდირებული კალამი) ხშირად მისაღები და თავაზიანია, მაგრამ ზოგიერთი საჩუქარი და წარმომადგენლობითი ხარჯი, განსაკუთრებით გადამეტებული ან შეუსაბამო საჩუქრები და ხარჯები შესაძლოა გახდეს არასწორი გავლენის გამომწვევი და მიჩნეულ იქნეს ქრთამად. **არამართლზომიერმა საჩუქრებმა და წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შესაძლებელია ზიანი მიაყენოს VEON-ის რეპუტაციას და გამოიწვიოს VEON-ის დაჯარიმება, სანქციები ან სხვა სახის სასჯელი.**

ჩვენ არ ვთავაზობთ საჩუქრებს ან წარმომადგენლობით ხარჯებს, როდესაც მიმღების კომერციული წესები ან კანონები მათ მიღებას კრძალავს. კიდევ უფრო მკაცრი წესები გამოიყენება სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, მთავრობასთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ან სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ ან კონტროლირებად კომპანიებთან მიმართებაში. საჩუქრებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საჩუქრებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების პროცედურაში მოყვანილი კონკრეტული წესები და მაგალითები.

სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების ვალდებულება

ჩვენ პატიოსნად ვთანამშრომლობთ ჩვენს მომხმარებლებთან, ბიზნეს პარტნიორებსა და კონკურენტებთან. ჩვენ არ ვიღებთ უსამართლო უპირატესობას სხვებთან შედარებით ფაქტების დამახინჯებით, მანიპულაციით, დაფარვით, კონფიდენციალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენებით, თაღლითობით ან სხვა არაკანონიერი ბიზნეს პრაქტიკით. ჩვენ ვართ გულწრფელები ჩვენს ბიზნეს საქმიანობაში, გვაქვს კეთილსინდისიერი ურთიერთობა ჩვენს მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და ბიზნეს პარტნიორებთან და პატივს ვცემთ მათ უფლებებს.

VEON იცავს კონკურენციის შესახებ ყველა მოქმედ კანონს (ცნობილი როგორც ანტიტრესტული ან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა). კონკურენციის შესახებ კანონები, მსოფლიოს მასშტაბით, კრძალავს ანტიკონკურენტულ შეთანხმებებს, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას და სხვა პრაქტიკას. შეთქმულება და შეთანხმებები ან დისკუსიები, რომლებიც წარმოშობენ კონკურენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორიცაა ფასის დადგენა, ბაზრის გადანაწილება და ტენდერის გაყალბება, ყოველთვის შეუფერებელი და გაუმართლებელია. თქვენ არასდროს არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა ამ ტიპის შეთანხმებებსა და მოლაპარაკებებში, რადგან მათ შესაძლოა გამოიწვიონ სამართლებრივი პასუხისმგებლობა და პოტენციურად დიდი ოდენობით ჯარიმები. თუ თქვენ გაქვთ პრობლემური საკითხები ან კითხვები, მიმართეთ თქვენს იურიდიულ ან ეთიკისა & კომპლაენს სამსახურებს.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

VEON

VEON პატივს სცემს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ ისეთ პროდუქტებს, მათ შორის ბეჭდურ მასალებს, ვიდეოებს, კომპიუტერულ პროგრამებს, მუსიკას, ილუსტრაციებს, ფოტომასალას და სხვა ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც ჩვენ თვითონ შევქმენით ან კანონის შესაბამისად შევიძინეთ უფლებამოსილი მხარეებისაგან.

ფულის გათეთრების და მასთან დაკავშირებული საქმიანობის თავიდან არიდება

VEON არ დაუშვებს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რაიმე ფორმას. ფულის გათეთრება ნიშნავს ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ კრიმინალური გზით მოპოვებული თანხებისათვის ლეგიტიმური სახის მიცემას.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული VEON-ის პროდუქტების ან სერვისების გამოყენება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსებისათვის, თქვენ უნდა იცნობდეთ ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმთან ბრძოლის თქვენს ქვეყანაში მოქმედ მოთხოვნებს და დაიცვათ ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ოფიცრის და იურიდიული და ეთიკისა & კომპლაენს სამსახურების ყველა პროცედურა და მითითება. თქვენ საგულდაგულოდ უნდა მიჰყვეთ შესაბამის დიუ დილიჯენს პროცედურებს, რათა შეაფასოთ სავარაუდო ბიზნეს პარტნიორების საქმიანობა და წარსული გამოცდილება, და დაადგინოთ თანხების წარმომავლობა და დანიშნულება. ნებისმიერი საეჭვო ტრანზაქციის ან შემთხვევის შესახებ უნდა შეატყობინოთ თქვენს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ოფიცერს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფულის გათეთრების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.

ურთიერთობა ბიზნეს პარტნიორებთან

ჩვენ საქმიან ურთიერთობას ვიჭერთ მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე, კომპეტენტურ ბიზნეს პარტნიორებთან, რომლებიც იცავენ და დაიცავენ ბიზნეს პარტნიორების ქცევის კოდექსს. კორუფციის და სხვა მნიშვნელოვანი რისკებისაგან VEON-ის დასაცავად, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ბიზნეს პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე ჩატარდეს შესაბამისი დიუ დილიჯენსი პროცესი. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ბიზნესპარტნიორთა დიუ დილიჯენს პროცედურა.

სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური ინვესტიციები

ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი და ხელშემწყობნი მდგრადი განვითარებისა, იმ საზოგადოებაში სადაც ვოპერირებთ, ჩვენი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის შესაბამისად, სოციალური ინვესტიციების და საქველმოქმედო შეწირულობების განხორციელების გზით. ჩვენ არ ვახორციელებთ რაიმე სახის ფულად თუ არაფულად შეწირულობებს პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, ფრაქციების ან საზოგადოებრივი თუ კერძო მოძრაობების მისამართით, რომელთა ქმედებებიც ნათლად არის დაკავშირებული პოლიტიკურ თუ რელიგიურ საქმიანობასთან. გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად, ჩვენ ვაქვეყნებთ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიას, საქმიანობას და პროგრამებს ჩვენს ყოველწლიურ მდგრადი განვითარების ანგარიშში.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

VEON

VEON იღებს ვალდებულებას, აღმოფხვრას ნებისმიერი სახის იძულებითი და სავალდებულო შრომა და არ დაუშვას ბავშვთა კანონის შეუსაბამოდ დასაქმება.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კორპორატიული გრანტების - სოციალური ინვესტიციებისა და საქველმოქმედო შეწირულობების პოლიტიკა და პროცედურა.

შესყიდვა

VEON-ისთვის საქონლის და მომსახურების შესყიდვისას, **ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს დამსახურების გათვალისწინებით, თავს ვარიდებთ ინტერესთა კონფლიქტს, არასაჭირო საჩუქრებსა და პატივისცემას (განსაკუთრებით მიმდინარე ტენდერის დროს)** ან სხვა სახის მფარველობას და ვიცავთ შესყიდვების სამსახურის მითითებებს. ჩვენ გვაქვს საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ იმ მომწოდებლებთან და გამყიდველებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ სამართლებრივ მოთხოვნებს და მოქმედებენ შესაბამისობის და ეთიკის თვალსაზრისით VEON-ის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობაში, რაც ხაზგასმულია VEON-ის ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსში.

ინტერესთა კონფლიქტების თავიდან არიდება

თქვენ თავიდან უნდა აიცილოთ სიტუაციები, სადაც პირადი (მათ შორის ოჯახის წევრების) ინტერესები და ურთიერთობები წინააღმდეგობაში მოდის ან სხვისი შეხედულებით ეწინააღმდეგება თქვენს პროფესიონალურ მოვალეობებს ან VEON-ის ინტერესებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა.

თქვენ არ უნდა გამოიყენოთ თქვენი თანამდებობა VEON-ში თქვენი პირადი ან თქვენი მეგობრების ან ნათესავების ინტერესების სასარგებლოდ, VEON-ის ინტერესების ხარჯზე. ადგილობრივი პროცედურების თანახმად, თქვენ უნდა გაამჟღავნოთ ახლო, პირადი ურთიერთობები ნებისმიერ მომწოდებელთან, დილერთან ან ბიზნეს პარტნიორთან, რომელთანაც VEON ახორციელებს საქმიან ურთიერთობას, ან ხელისუფლების თანამდებობის პირთან, რომელსაც აქვს კავშირი VEON-თან. თქვენ არ უნდა დაუშვათ, რომ პირადი ინტერესების ან ურთიერთობების გავლენით მიღებულ იქნას არასამართლიანი ან არასათანადო გადაწყვეტილებები სამუშაოზე მიღებასთან, შერჩევასთან ან VEON-ის სახელით ხელისუფლების თანამდებობის პირებთან, მომმარაგებლებთან, დილერებთან ან ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით.

შესაბამისობა სანქციებისა და ექსპორტ-იმპორტის კანონებთან

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვართ ნოვატორები და ვემსახურებით ჩვენს მომხმარებლებს, **VEON იცავს ყველა მოქმედ სანქციას, ექსპორტის-იმპორტის და სავაჭრო რეგულაციას.** ვენდორებთან საქმიანი ან კომერციული ურთიერთობების დაწყებისას, ან საქონლის, ტექნოლოგიების ან მომსახურების საერთაშორისო საზღვრების მიღმა გატანისას (როგორც ფიზიკური, ასევე ციფრული გადაადგილება) თქვენ უნდა იცოდეთ, რა სანქციები ან სავაჭრო წესები მოქმედებს, რათა დაიცვათ ისინი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, სავაჭრო რეგულაციების და სანქციების პოლიტიკა.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

Q &A: მესამე მხარეებთან ურთიერთობა

Q: ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ჩვენი ერთ-ერთი კონკურენტი კომპანიის ფინანსურ დირექტორთან. მათ აქვთ წვდომა ფინანსურ მაჩვენებლებზე, ფასებზე, ტრემდებზე და კლიენტების გარიგებებზე. დასაშვები იქნება თუ არა მათთან მსგავსი ინფორმაციის პერიოდული, არაფორმალური გაცვლა?

A: არა! კონკურენტული ინფორმაციის გაცვლა აკრძალულია და შესაძლოა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ჩაითვალოს. აუცილებლად უარი უნდა თქვათ კონკურენტი კომპანიის წარმომადგენლებთან მსგავსი საკითხების განხილვაზე.

Q: ჩემი მეუღლე ერთ-ერთი ჩვენი ბიზნესპარტნიორი ორგანიზაციის დირექტორია. ვიონში მუშაობის ფარგლებში, მოვალეობის შესრულებისას მეც მიწევს აღნიშნულ კომპანიასთანკონტაქტი. წარმოადგენს თუ არა ეს პრობლემას?

A: აუცილებელია ნებისმიერი აქტუალური, პოტენციური ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი იქნა დეკლარირებული, რათა მოხდეს მისი მართვა და გაუგებრობების თავიდან აცილება. აღნიშნული სიტუაცია წარმოადგენს პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს და აუცილებელია მისი გამჟღავნება ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის შესაბამისად.

Q: კონტენტის მომწოდებელმა, ვისთანაც ვიონს ბიზნეს ურთიერთობა აქვს, შემომთავაზა ვებ გვერდის დიზაინთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ვიონში მუშაობის ფარგლებში, ჩემი ვალდებულებაა კონტენტის მომწოდებლებთან მუშაობა, შესაბამისად კარგად ვიცი ვებ გვერდის კონტენტის მოთხოვნებიც და ჩემზე კარგად ამ საქმეს თავს ერთეულები თუ გაართმევენ. ვფიქრობ, შაბათ-კვირას და სამუშაოს შემდეგ დავუთმო დრო, ჩემი პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით. შემიძლია თუ არა აღნიშნული სამსახურის შეთავაზების მიღება?

A: არა. რადგან ვიონში დასაქმების ფარგლებში, თქვენ თავად ხართ ჩართული აღნიშნულ ბიზნესპარტნიორთან მუშაობის პროცესში, ეს ინტერესთა კონფლიქტის თვალსაჩინო სიტუაციაა.

Q: ბიზნეს პარტნიორის რამდენიმე მენეჯერი, ვისთანაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, სურვილი გამოთქვეს ჩვენს ოფისს ესტუმრონ. მათ მოლოდინი აქვთ, რომ ჩვენ გადავიხდით მათი ფრენის პირველი კლასის ბილეთების და სასტუმროში განთავსების ხარჯებს, და ასევე ვუზრუნველყოფთ ყოველდღიური სახარჯო თანხით საჭმელისა და გართობისათვის. მათ ასევე, გვთხოვეს რომ ჩამოვლენ მეუღლეებთან ერთად, და ჩვენ გვთხოვენ საღამოობით მათი გართობის უზრუნველყოფას. დასაშვებია თუ არა მსგავსი მასპინძლობა ვიონში?

A: რიგ შემთხვევებში, შესაძლოა დასაშვები იყოს ბიზნესპარტნიორთა ვიზიტების მხარდაჭერა, ასევე შესაძლებელია საღამოს მასპინძლობის ორგანიზებაც, თუმცა ეს უკანასკნელი უნდა იყოს გონივრულობის ფარგლებში (პირველი კლასის ბილეთები არ არის), აუცილებელი (მეუღლეების მოგზაურობა არ არის), და შესაბამისი (ნაღდი ფულის გადაცემა არ არის).

ამასთანავე, თქვენ უნდა მოიპოვოთ წინასწარი საჩუქრებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების პროცედურის შესაბამისად.

საჯარო უწყებებთან და სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობა

VEON ვალდებულია, ჰქონდეს ღია და კეთილსინდისიერი ურთიერთობა მთავრობებთან და საჯარო მოხელეებთან, ასევე ვალდებულია, თავიდან აიცილოს კორუფციის ნებისმიერი ფორმა. VEON კრძალავს ხელშემწყობ გადახდებს (ე.ი. უკანონო გადასახადებს მთავრობის ფორმალური პროცედურების გასამარტივებლად). ჩვენ ვადგენთ მკაცრ შეზღუდვებს სახელმწიფო თანამდებობის პირების მგზავრობის, წარმომადგენლობითი და გართობის ხარჯების დაფინანსებასა და ანაზღაურებაზე, როგორიც არის, მაგ. ავიაბილეთები, კვება (გარდა მოკრძალებული საკვებისა) ან სასტუმროს ხარჯები, ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ღირებულების მქონე საჩუქრები ან საქველმოქმედო შემოწირულობები მათი სახელით ან მათ სასარგებლოდ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მთავრობასთან ურთიერთობის პოლიტიკა; საჩუქრების და წარმომადგენლობითი ხარჯების პროცედურა; კორპორატიული გრანტების: სოციალური ინვესტიციებისა და საქველმოქმედო შეწირულობების პოლიტიკა და პროცედურა.

სახელმწიფო მოხელეები

საჯარო უწყებებთან ან სახელმწიფო მოხელეებთან ბიზნეს ტრანზაქციებისათვის საჭიროა წინასწარი თანხმობები. საჯარო მოხელეებთან, საჯარო მოხელის ოჯახის წევრთან ან სახელმწიფოს, საჯარო მოხელის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მთლიან ან ნაწილობრივ მფლობელობაში არსებულ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე თქვენ უნდა მოითხოვოთ წინასწარი შეფასება და თანხმობა იურიდიული და ეთიკისა & კომპლაენს სამსახურებისგან.

სახელმწიფო გამოძიებასთან თანამშრომლობა

VEON თანამშრომლობს სახელმწიფო გამოძიებასთან, უზრუნველყოფს ჭეშმარიტ და ზუსტ ინფორმაციას და არ უგულებელყოფს, ფარავს, მანიპულირებს ან გადადებს ინფორმაციის გადაცემას ოფიციალური პირების ლეგიტიმური მოთხოვნის შემთხვევაში. თუ თქვენ დაგიკავშირდათ საჯარო მოხელე ან სამთავრობო დაწესებულება, რათა მიაწოდოთ ინფორმაცია სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანოს გამოძიებასთან ან მოკვლევასთან დაკავშირებით, ან თუ მიიღეთ არარუტინული ინფორმაციის მოთხოვნა მთავრობისგან ან მარეგულირებელი ორგანოსგან, ან შეიტყვეთ ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ სამართლებრივი სარჩელი VEON-ის წინააღმდეგ, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს, იურიდიულ და ეთიკისა & კომპლაენს დეპარტამენტებს.

პოლიტიკური აქტივობები

VEON აღიარებს პოლიტიკურ პროცესებში თქვენი მონაწილეობის უფლებას იმ მეთოდებით, რომლებიც დაშვებულია თითოეულ ქვეყანაში. ამასთან თქვენ უნდა ცხადყოთ, რომ თქვენი შეხედულებები და ქმედებები არის თქვენი პირადი და არა VEONის გამოხატულება. თქვენ არ უნდა გამოიყენოთ VEON-ის დრო, ქონება, ლოგოები, სურათები ან აღჭურვილობა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოთ პირადი პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას. დაუშვებელია, სამუშაო დღის მანძილზე მოუწოდოთ სხვა პირებს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მხარდასაჭერად. VEON არ აკეთებს პოლიტიკურ შენატანებს და არ ანაზღაურებს პოლიტიკურ კონტრიბუციასა თუ ხარჯს.

თუ თქვენ გეგმავთ მოიძიოთ ან დაიკავოთ სახელმწიფო თანამდებობა, ამის შესახებ წინასწარ უნდა შეატყობინოთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს და ეთიკისა და კომპლაენს განყოფილებას და იმსჯელოთ, შეუძლია თუ არა პოლიტიკურ ვალდებულებებს გავლენა იქონიონ ან უარყოფითად აისახონ თქვენს სამუშაოზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მთავრობასთან ურთიერთობის პოლიტიკა.

Q&A: საჯარო უწყებებთან და სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობა

Q: თანამშრომელი, რომლის ხელმძღვანელიც ვარ, მხარს უჭერს ოპოზიციურ პარტიას. რამდენიმე დღის წინ ის მონაწილებდა პოლიტიკურ დებატებში ერთ-ერთ ადგილობრივ ტელევიზიაში. ამასთანავე, დებატების დროს მას არცერთხელ არ უხსენებია VEON, ან ის რომ მისი სახლით აკეთებდა განცხადებებს. მომდევნო დღეს, მისმა ოპონენტებმა, სოციალურ მედიაში გამოაქვეყნეს სტატია, რომ VEONის თანამშრომელი მხარს უჭერს ოპოზიციურ პარტიას. როგორც მისი მენეჯერი, ვშიშობ მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა უარყოფითი შეფასება არ გამოიწვიოს ადგილობრივი საჯარო უწყებების მხრიდან და ხელი არ შეუშალოს ჩვენს საქმიანობას ამ რეგიონში. როგორც ამ პირის ხელმძღვანელმა, უნდა გავატარო თუ არა რაიმე დისციპლინარული ღონისძიება თანამშრომლის მიმართ?

A: არა. თუ კი თანამშრომელს არ უხსენებია, რომ მისი ხედვები გამოხატავდა VEONის პოზიციას, მას არ გამოუყენებია კომპანიის რესურსები მისი პოლიტიკური აქტივობებისთვის, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი რაიმე დისციპლინარული ღონისძიების გატარებისა. ჩვენ თანამშრომლებს აქვთ უფლება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი ხედვები და მიიღონ მონაწილეობა კანონიერ პოლიტიკურ აქტივობებში. თუმცა თქვენ აუცილებლად უნდა აცნობოთ ინვესტორებტან ურთიერთობის ანდ კომუნიკაციის დეპარტამენტს, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი გამოახმაურება მოახდინონ (მაგალითად, მოითხოვოს სტატიის ავტორისგან ფაქტის უარყოფა).

Q: ჩემს ქვეყანაში დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისთვის საახალწლო საჩუქრების გაგზავნა ჩვეულებრივ მიღებულია, მაგალითად როგორიცაა ბოთლი ღვინო. ამის სანაცვლოდ, ცხადია ჩვენ არაფერს ვითხოვთ მათგან და ამასთანავე არ გვაქვს არანაირი განზრახვა მათ აქტივობებზე გავლენის მოხდენისა. შემიძლია თუ არა მსგავსი საჩუქრის გაკეთება?

A: საჩუქრის გაცემამდე აუცილებელია ეთიკისა&კომპლაენს ოფიცერთან საკითხის წინასწარ შეთანხმება, თუ საჩუქრის ღირებულება აჭარბებს პროცედურით დადგენილ ლიმიტებს. გთხოვთ, თავად შეაფასოთ საჩუქრის შესაბამისობა „საჩუქრის ღირებულება ან ტიპი ხომ არ

ჩააყენებს ვიონს, პირადად თქვენ ან საჩუქრის მიმღებ პირს უხერხულ მდგომარეობაში?“ რადგან ბოთლი ღვინო შესაძლოა საკმაოდ ძვირადღირებულიც იყოს და ეჭვები გამოიწვიოს, ან კულტურულად მიუღებელი იყოს...

კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა და კონფიდენციალურობა

ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ წარმოვაჩენთ VEON-ს საჯაროდ და ეს პროცესი ხშირად დიდი მსჯელობის საგანია.

მხოლოდ შესაბამის პირებს აქვთ უფლება, იმსჯელონ VEON-ის შესახებ მასმედიასთან, ფინანსურ ანალიტიკოსებთან და ინვესტორებთან. ყველა გარე მომართვა ფინანსურ, სტრატეგიულ ან სხვა ბიზნეს ინფორმაციასთან დაკავშირებით VEON-ის ან მისი რომელიმე ბიზნეს ერთეულის ან ოპერაციის შესახებ უნდა გადაეცეს ინვესტორებთან ურთიერთობის განყოფილებას.

თქვენ უნდა გამოიჩინოთ სიფრთხილე სოციალური მედიის გამოყენებისას, განსაკუთრებით სამსახურზე ან მასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას. თქვენ უნდა დაიცვათ კონფიდენციალურობა და არ ისაუბროთ VEON-ის რომელიმე კონკრეტული ბიზნეს პარტნიორის, კოლეგის ან სხვა რომელიმე დაინტერესებული მხარის შესახებ მათი ნებართვის გარეშე, ან გაამჟღავნოთ VEON-ის კონფიდენციალური ინფორმაცია.

გარე მომართვების დამუშავების და სოციალური მედიის გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ გარე კომუნიკაციების პოლიტიკა.

VEON-ის ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფა

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც თქვენ აფიქსირებთ ან გასცემთ VEON-ის სახელით უნდა იყოს ზუსტი და სრულყოფილი. ყველა ჩანაწერი, მათ შორის ანგარიშები და ფინანსური უწყისები, უნდა იყოს დროული, სათანადოდ დეტალიზირებული და ზუსტად უნდა ასახავდეს ტრანზაქციებს. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ [საარრიცხვო პოლიტიკა.]

თქვენ უნდა დაიცვათ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნა და VEON-ის ყველა შიდა პროცედურა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე. თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ არ არსებობს გაუმჟღავნებელი ან აღურიცხავი შეთანხმება, ანგარიში, ფულადი სახსრები ან აქტივები. თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ VEON-ის სახელით აღებული ყველა ვალდებულება და დადებული კომერციული შეთანხმება არის წერილობითი ფორმის და სრულად შეიცავს მხარეთა შორის შეთანხმებულ არსებით პირობებს.

თქვენ სრულად უნდა ითანამშრომლოთ შიდა და გარე აუდიტორებთან და მიაწოდოთ მათ ზუსტი ინფორმაცია. ხელმძღვანელობისგან ან შიდა თუ გარე აუდიტორებისაგან ინფორმაციის დამალვამ შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს VEON-ის ფინანსურ მდგომარეობას და აღნიშნული ქმედება მკაცრად აკრძალულია.

VEON-ის ინფორმაციის გაცვლა

VEON-ის გარეთ კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარებამდე რჩევისთვის უნდა მიმართოთ იურიდიულ დეპარტამენტს და გაითვალისწინოთ მათი ინსტრუქცია. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა VEONის გარეთ, რათა ბიზნეს პარტნიორმა (მაგალითად, მომსახურების პროვაიდერი ან გარე აუდიტორი) შეძლოს ჩვენთან ეფექტურად მუშაობა. ჩვენს მიერ გაზიარებული ინფორმაციის დასაცავად ჩვენ ვიყენებთ შეთანხმებას ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ან კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჩვენი მომხმარებლების პირადი ინფორმაციის და კომუნიკაციების კონფიდენციალურობას. ჩვენი მომხმარებლები და სხვა მესამე მხარეები გვანდობენ თავიანთ პირად ინფორმაციას და ჩვენ ვაფასებთ ამ ნდობას. ჩვენ ვიცავთ ინფორმაციის უსაფრთხოების მოქმედ რეგულაციებს და ვიცავთ კონფიდენციალურ ინფორმაციას დაკარგვისაგან, ქურდობისაგან ან შემთხვევით გამჟღავნებისაგან. დაუშვებელია მომხმარებლის ინფორმაციასთან წვდომა, მისი ნახვა, გამოყენება, შეცვლა, გაზიარება ან გავრცელება შესაბამისი საქმიანი მიზეზის და შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე.

VEON იღებს ვალდებულებას, დაიცვას თქვენი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ჩვენ მივიღებთ და შევინახავთ მხოლოდ ისეთ პირად მონაცემებს, რომლებიც საჭიროა VEON-ის ეფექტური მუშაობისთვის ან გათვალისწინებულია კანონით. პირადი ინფორმაციის ჩანაწერებთან წვდომა ნებადართულია მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ აღნიშნული ინფორმაცია ბიზნეს მიზნებისათვის. თქვენი პირადი ინფორმაცია არ წარედგინება რომელიმე პირს VEON-ის ფარგლებს გარეთ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე და ისეთი საშუალებით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მის ადეკვატურად დაცვას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯგუფის კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

ინსაიდერული ვაჭრობა

თქვენ, თქვენი ოჯახის წევრებს, და ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის ტრანზაქციებიც წარიმართება თქვენს მიერ ან ექვემდებარება თქვენს გავლენას ან კონტროლს, გეკრძალებათ ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, თქვენთვის ხელმისაწვდომი ან გადმოცემული არასაჯარო ინფორმაციის გამოყენებით. ინსაიდერული ვაჭრობის შესახებ VEON-ის ჯგუფის პოლიტიკის თანახმად, შესაძლოა ჯგუფის გენერალური მდივნის მიერ დროდადრო გაიხსნას VEON-ის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დასაშვები პერიოდები. დასაშვებ პერიოდში VEON-ის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა წინასწარ უნდა იყოს დადასტურებული ჯგუფის გენერალური მდივნის მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ინსაიდერული ვაჭრობის პოლიტიკა.

Q&A: კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა და კონფიდენციალურობა

Q: ჩემმა მეგობარმა, რომელიც იმავე დეპარტამენტში მუშაობს, სადაც მე, მთხოვა მიმეწოდებინა მისი მეუღლის სატელეფონო ამონაწერი. მისი აზრით სატელეფონო ხარჯი

ძალიან მაღალია. თავად მას არ აქვს კლიენტების მონაცემთა ბაზაზე წვდომა, შესაბამისად ტავად არ შეუძლია ამის გადამოწმება. შემიძლია თუ არა მისი დახმარება?

A: არა. პერსონალური ინფორმაციის გადაცემა მხოლოდ თავად იმ კლიენტსა ან მისი კანონიერ წარმომადგენლზეა დასაშვები (შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე). ჩვენ არ გვაქვს ასეთი ინფორმაციის გაცემის უფლება, თუნდა ჩვენს მეგობრებზე და კოლეგებზე.

Q: მე ცოტა ხნის წინ შემოვუერთდი VEONის გუნდს, მანამდე კი მის კონკურენტ კომპანიაში ვმუშაობდი. გარკვეული ინსაიდერული ინფორმაცია მაქვს ჩემს ყოფილ დამქირავებელზე, რომელიც კონკურენტ კომპანიაში მუშაობისას მივიღე. შემიძლია თუ არა ამ ინფორმაციის მიწოდება ჩემი მენეჯერისთვის?

A: არა.ეს არაკანონიერი იქნება.

Q: რა არის მატერიალური არასაჯარო ინფორმაციის მაგალითები?

A: მატერიალური არასაჯარო ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს: რაიმე ინფორმაციას ფინანსურ მაჩვენებლებზე და მის მნიშვნელოვან ცვლილებებზე და /ან ფინანსურ პირობებს ან დაგეგმარებას; მნიშვნელოვან ახალ კონტრაქტებს, ლიცენზიებს, მომხმარებლებს, პროდუქტებს, მომსახურებებს, მომწოდებლებს ან მოგება-ზარალის მონაცემებს; მნიშვნელოვან შესყიდვას ან აქტივების დისპოზიციას; მარეგულირებელი ორგანოს მიერ სხვა ოპერატორების მიმართ გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

Q: ჩემთვის გასაგებია, რომ არ შემიძლია კომპანიის აქციების შეძენა ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით. მაგრამ შემიძლია თუ არა ჩემს მეგობარს ვურჩიო ამის შესახებ?

A: არა. აღნიშნული დაარღვევს ინსაიდერული ვაჭრობის კანონს და VEONის პოლიტიკას.

VEON-ის აქტივების დაცვა

ჩვენ ვალდებულნი ვართ VEON-ისა და მისი აქციონერების წინაშე, **დავიცვათ და ეფექტურად გამოვიყენოთ VEON-ის აქტივები, რესურსები და საკუთრება, მათ შორის VEONის ინტელექტუალური საკუთრება.**

VEON-ის აქტივების გაფლანგვის ან ბოროტად გამოყენების თავიდან არიდება

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ, გამოვიჩინოთ სათანადო კეთილგონიერება VEON-ის აქტივების ბოროტად გამოყენების ან გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად. VEON-ის აქტივები მოიცავს საკუთრებას და აღჭურვილობას, დროს, კონფიდენციალურ ინფორმაციას და VEON-ის ფულად სახსრებს. ზოგადად ნებადართულია VEON-ის აღჭურვილობის შეზღუდულად გამოყენება პირადი მიზნებისთვის (მაგალითად, მობილური ტელეფონები, ქსეროქსი, კომპიუტერები, ელ. ფოსტა, და სხვ.), თუ მას გააჩნია არასისტემატური ხასიათი,

მნიშვნელოვნად არ ზრდის ხარჯს VEON-ისათვის, არ უშლის ხელს სამსახურეობრივ პასუხისმგებლობებს და არ არის დაკავშირებული არაკანონიერ ან შეუსაბამო საქმიანობასთან.

თქვენ უნდა გაეცნოთ და დაიცვათ მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების პოლიტიკა და წესები. თქვენ პასუხისმგებელი ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო თანხმობა. VEON აანაზღაურებს მხოლოდ ლეგიტიმურ ბიზნეს ხარჯებს. სასტუმროს, ბილეთის ან კვების შერჩევისას ყოველთვის უნდა მოძებნოთ შედარებით ნაკლებხარჯიანი, გონივრული არჩევანი.

VEON-ის აქტივების დაცვა თაღლითობის ან ქურდობისაგან

ყოველთვის იმოქმედეთ პატიოსნად. **ჩვენ უნდა დავიცვათ VEON-ის ფულადი სახსრები და სხვა აქტივები ისევე, როგორც დავიცავდით საკუთარს და მივიღოთ სიფრთხილის ზომები მათი ბოროტად გამოყენების, დაკარგვის, თაღლითობის ან ქურდობის წინააღმდეგ.** აღნიშნული მოიცავს VEON-ის მიერ თქვენთვის ჩარიცხულ თანხებს და ნებისმიერ შესყიდვას ან თქვენს მფლობელობაში არსებულ კორპორატიულ ბარათებს. უნდა დარწმუნდეთ, რომ ყველა ხარჯი, მოთხოვნა, ვაუჩერი, ქვითარი და ინვოისი არის ზუსტი, შეესაბამება VEON-ის სათანადო პოლიტიკას, პროცედურებსა და წესებს და წარმოდგენილია დროულად. ჩვენ არ ვყიდით, გადავცემთ ან განვკარგავთ VEON-ის აქტივებს შესაბამისი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის გარეშე.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

ვინაიდან VEON არის ნოვატორი, ჩვენ რეგულარულად ვქმნით ღირებულ, არასაჯარო იდეებს (ინტელექტუალური საკუთრება), ინტელექტუალური საკუთრება ჩვენი ერთერთი ყველაზე ღირებული აქტივია და **ჩვენ უნდა დავიცვათ ის სხვა სახის ქონების ან აქტივების მსგავსად.** აღნიშნული მოიცავს ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას ჩვენი ბიზნეს პარტნიორების მიერ ჩვენი ლოგოს და ბრენდის არასათანადო გამოყენებისგან დასაცავად.

VEON-ის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ვალდებულება ვრცელდება თქვენი დასაქმების მთლიან პერიოდზე და გრძელდება დასაქმების შეწყვეტის შემდეგაც. VEON-ის ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებასთან ან მართვასთან დაკავშირებით შეკითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს იურიდიულ დეპარტამენტს. VEON-ის IT სისტემების დაცვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის დაცვა

კომპიუტერული სისტემები და მათში დამუშავებული და შენახული ინფორმაცია ჩვენი ბიზნესისთვის კრიტიკულია. **ყველა ადამიანმა, რომელიც იყენებს VEON-ის სისტემებს, უნდა უზრუნველყოს რესურსების გამოყენება სათანადოდ და კონფიდენციალურობის და კიბერ-უსაფრთხოების პოლიტიკების შესაბამისად.** კომპიუტერული აპარატურა, პროგრამები და VEON-ის სისტემებში განთავსებული ყველა ინფორმაცია წარმოადგენს VEON-ის საკუთრებას. თქვენ უნდა გამოიყენოთ VEON-ის სისტემები პასუხისმგებლობით და ბიზნეს მიზნებისთვის. დაუშვებელია პორნოგრაფიული (სურათის ან ტექსტის), ძალადობრივი ან არატოლერანტული, აგრეთვე შეურაცხმყოფელი ან უხამსი მასალების ნახვა, შენახვა ან

გაგზავნა. თქვენ უნდა დაიცვათ და არ გაუზიაროთ სხვა პირებს თქვენი რეკვიზიტები (მაგალითად, მომხმარებლის სახელი ან პაროლი) და არ მისცეთ საშუალება სხვა პირებს, გამოიყენონ VEON-ის მოწყობილობები ან რესურსები. ყველა ტრანზაქციისათვის შესაბამისი ავტორიზაციის უზრუნველყოფა

გარიგებების სათანადოდ შეთანხმების უზრუნველყოფა

VEON-ის სახელით ისეთი ვალდებულებების აღება, რომლებიც სცდება თქვენთვის დელეგირებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს VEON-ის პოლიტიკის სერიოზულ დარღვევას და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას VEON-ის ფინანსურ მდგომარეობას. სულ მცირე, ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს წერილობით და შეიცავდეს მხარეთა შორის შეთანხმებული საკითხების ერთობლიობას. ნებისმიერი კორპორატიული დოკუმენტის ან გარიგების ხელმოწერამდე უნდა დაიცვათ თქვენთვის მინიჭებული უფლებამოსილების ზღვარი. VEON-ის უფლებამოსილების ზღვრებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯგუფის უფლებამოსილებათა მატრიცა.

დოკუმენტების სათანადოდ შენახვის უზრუნველყოფა

თქვენს სამსახურეობრივ მოვალეობებთან დაკავშირებით შექმნილი ან მიღებული ყველა დოკუმენტი და სხვა ჩანაწერი უნდა შეინახოს შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით, აგრეთვე VEON-ის პოლიტიკისა და იურიდიული დეპარტამენტის მითითებების გათვალისწინებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მონაცემების შენახვის პოლიტიკა.

Q&A: VEON-ის აქტივების დაცვა

Q: სამსახურებრივი ლეპტოპი ხშირად სახლში მიმაქვს ინტერნეტის გამოყენების მიზნით, ეხლა კი შვებულებაში წასვლას ვაპირებ. ჩემმა შვილმა მთხოვა კომპიუტერის დატოვება, სანამ სამოგზაუროდ ვიქნები; შემიძლია თუ არა მომხმარებლის დასახელების და პაროლის გადაცემა?

A: არა. მომხმარებლის სახელი და პაროლი VEONს ეხმარება ინფორმაციული და ტექნოლოგიური რესურსების დაცვაში. დაუშვებელია ამ მონაცემების გადაცემა, თუნდაც თქვენი ოჯახის წევრისთვის.

Q: ჩვენმა ყოფილმა თანამშრომელმა, ვისთან ერთადაც ერთ გუნდში ვმუშაობდი, თხოვნით მომმართა გავუგზავნო ის მასალები, რომლებზეც ერთად ვიმუშავეთ, მისი ვიონში დასაქმების ფარგლებში. რა მოვიმოქმედო?

A: თქვენ არ გაქვთ უფლება ყოფილ თანამშრომელს გაუზიაროთ ვიონის კონფიდენციალური ინფორმაცია. მიმართეთ თქვენს მენეჯერს დაუყოვნებლივ, მან შესაძლოა საკითხი გადაამისამართოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების და იურიდიული

სამსახურის წარმომადგენლებთან, იმისათვის რომ განისაზღვროს VEONის კონფიდენციალური ინფორმაციის და საკუტრების დაცვის ზომები.

Q: ერთ-ერთმა ჩვენმა დილერმა ვერ შეძლო დასახული მიზნების შესრულება, თარგეთირებული ბონუსის მისაღებად. VEONის დილერებთან ურთიერთობის მენეჯერმა გადაწყვიტა დაემრგვალებინა ამ დილერის გაყიდვების შედეგები, იმისათვის რომ დასაშვები გამხდარიყო ამ პირზე ბონუსის გაცემა. მენეჯერის განმარტებით, ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დილერია და აუცილებელია ბონუსის გაცემა მასთან დადებითი საქმიანი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. მისაღებია თუ არა მენეჯერის ქმედებები, იმის გათვალისწინებით, რომ მას არანაირი პირადი ინტერესი არ გააჩნია?

A: არა. გაყიდვების შედეგების განზრახ ინფლაცია ქცევის კოდექსის და VEONის სხვა პოლიტიკების და პროცედურების დარღვევაა. აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ ეთიკისა&კომპლაენს სამსახურს, ბიზნეს ოპერაციების მაკონტროლებელს ან გამოიყენოთ ეთიკისა&კომპლაენსის SpeakUp რესურსი.

Q: კვარტალური რეპორტინგის ბოლო კვირაა, ხოლო ჩვენი უფროსის მიზანია უზრუნველყოს, რომ საბოლოო ციფრები თანხვედრაშია კვარტალურ მიზნებთან, შესაბამისად მან მთხოვა დავაფიქსირო დაუდასტურებელი გაყიდვის ოპერაცია, რომელიც მომდევნო კვირის ბოლომდე ვერ დასრულდება. ვფიქრობ ეს არავის დააზარალებს. შევასრულო მისის დავალება?

A: არა. ყველანაირი ხარჯი/შემოსავალი უნდა დაფიქსირდეს კორექტულ პერიოდში. ტრანზაქცია ჯერ დასრულებული არ არის, შესაბამისად თანხის ადრეულ პერიოდში გატარება იქნება მონაცემების გაყალბება და თაღლითობა. თქვენი უპირობო ვალდებულებაა საკითხის შესახებ აცნობოთ ფინანსურ დირექციას, იურიდიულ სამსახურს, ეთიკისა&კომპლაენს გუნდს ან გამოიყენოთ SpeakUp რესურსი.

კოდექსის გამოყენება

წინამდებარე კოდექსი შეიცავს საკმაოდ ბევრ ინფორმაციას, თუმცა შეუძლებელია კოდექსში განხილული იყოს უკლებლივ ყველა შემთხვევა. საჭირო იქნება ამავდროულად გაითვალისწინოთ ადგილობრივი კანონმდებლობა და რეგულაციები, აგრეთვე VEON-ის პოლიტიკები, რომლებიც აღნიშნულია კოდექსში, ასევე ადგილობრივი პოლიტიკა და პროცედურები. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეუსაბამობა წინამდებარე კოდექსსა და ადგილობრივ კანონმდებლობას, რეგულაციას ან VEON-ის სხვა პოლიტიკას შორის, უნდა გამოიყენოთ ის წესი, რომელიც ადგენს უფრო მაღალ, უფრო მკაცრ სტანდარტს. თქვენი პასუხისმგებლობაა, გაეცნოთ თქვენთვის შესაბამის კანონებსა და წესებს და მიიღოთ რეკომენდაციები საეჭვო სიტუაციებში. იმ შემთხვევაში, თუ წააწყდებით გაუგებარ შემთხვევას, გაესაუბრეთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს, თქვენს ეთიკისა და კომპლაენს ან იურიდიულ სამსახურებს.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

როგორ გადაწყვიტოთ თუ როგორ მოიქცეთ

შესაძლოა წარმოიშვას ისეთი გარემოებები, რომლებისთვისაც VEON-ს არ აქვს გაწერილი პოლიტიკა ან სტანდარტი, ან შესაძლოა, არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენს წინაშე არსებული ფაქტები ექვემდებარება რომელიმე პოლიტიკას. ასეთ შემთხვევაში, საკუთარ თავს დაუსვით შემდეგი კითხვები, რაც დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში და სწორად მოქცევაში.

- ირღვევა თუ არა კანონი ან პროფესიული ეთიკა?
- შეუსაბამოა თუ არა აღნიშნული ფაქტი წინამდებარე კოდექსის გზავნილთან და სულისკვეთებასთან?
- შეუძლია თუ არა აღნიშნულ ფაქტს VEON-ის ან მისი რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება?
- შეუძლია თუ არა აღნიშნულ ფაქტს რომელიმე პირისათვის ფიზიკური, ემოციური ან სხვა სახის ზიანის მიყენება?
- უხერხულად ვიგრძნობდი თავს, თუ ჩემი მეგობრები ან ოჯახის წევრები გაიგებდნენ, რომ მე ასე მოვიქეცი?
- უხერხულად ვიგრძნობდი თავს, თუ მოხდებოდა აღნიშნული ფაქტის დაბეჭდვა ბლოგში ან ახალ ამბებში?

თუ ყველა ამ კითხვაზე პასუხი არის „არა“, მაშინ სავარაუდოდ საფრთხე არ გემუქრებათ. თუ რომელიმე კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ ან „არ ვარ დარწმუნებული“, რეკომენდაციისათვის დაუკავშირდით თქვენს უშუალო ხელმძღვანელს, ეთიკისა&კომპლაენს ან იურიდიულ სამსახურებს.

იმოქმედეთ საღი გონებით და ზოგადი პრინციპებით, რათა თქვენი ქმედებებით არ დაირღვეს კანონი, დაზიანდეს VEON-ის რეპუტაცია და არ დადგეთ ან დააყენოთ VEON რისკის ქვეშ.

მეტი პასუხისმგებლობა და ყურადღება გმართებთ, თუკი გევალებათ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი პირების მართვა. თქვენ უნდა იყოთ მისაბაძი მაგალითი შესაბამისობის და ეთიკური ქცევის წახალისების თვალსაზრისით:

- დარწმუნდით, რომ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ პირებს გააზრებული აქვთ ამ კოდექსის მოთხოვნები და იცავენ მათ.
- დაიცავით VEON-ის ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამის და კორუფციის მიმართ ყველა საქმიან ურთიერთობაში.
- შეინარჩუნეთ ისეთი გარემო, სადაც ადამიანები კომფორტულად საუბრობენ პრობლემურ საკითხებზე.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

- თანმიმდევრულად დაიცავით კოდექსი და მხარი დაუჭირეთ იმ პირებს, რომლებიც კეთილსინდისიერად წამოწევენ კითხვებს და პრობლემებს, დაიცავით მათი კონფიდენციალურობა და არ დაუშვათ მათზე შურისძიება.

- არასოდეს შეუწყოთ ხელი ან მისცეთ რომელიმე პირს უფლება, მიაღწიოს ბიზნეს შედეგებს ეთიკური ქცევის ან ამ კოდექსთან ან კანონთან შესაბამისობის ხარჯზე.

ვის მივმართოთ პრობლემის არსებობისას?

პრობლემის წამოჭრა ან გაზიარება შეგიძლიათ:

- პირდაპირ თქვენს უშუალო ხელმძღვანელთან ან ეთიკისა და კომპლაენს სამსახურთან გასაუბრებით;

- ელ. ფოსტის გაგზავნით მისამართზე compliance@veon.com ან compliance@beeline.ge
- პრობლემის შესახებ ონლაინ პლატფორმაზე განცხადებით ბმულზე veon.com/speakup;

VEON დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განაცხადებს წინამდებარე კოდექსის შესაძლო დარღვევების შესახებ და იღებს ვალდებულებას, დაიცვას კონფიდენციალურობა და დაუყოვნებლივ და პროფესიონალურად განიხილოს შესაძლო არასათანადო ქცევის ფაქტები. აუცილებელია ითანამშრომლოთ შიდა მოკვლევის პროცესში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ Speak Up - პრობლემების დაფიქსირების და სამაგიეროს გადახდის დაუშვებლობის პოლიტიკა და მოკვლევის პროცედურა.

შეგიძლიათ თუ არა პრობლემების შესახებ განაცხადოთ ანონიმურად?

თქვენი ვინაობის შესახებ ინფორმაციის ფლობა VEON-ს დაეხმარება, ჩაატაროს საფუძვლიანი მოკვლევა თქვენს მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხზე, ამიტომ სასურველია თქვენთვის ცნობილი ან სავარაუდო დარღვევის შესახებ განცხადებისას მიუთითოთ თქვენი ვინაობაც. თუ არ გსურთ თქვენი ვინაობის გამხელა, იურისდიქციათა უმეტესობაში დაშვებულია განაცხადის ანონიმურად შეტანაც. არ აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით განაცხადებთ პრობლემის შესახებ, VEON გადახედავს თქვენს განაცხადს და მიიღებს შესაბამის ზომებს.

რა შედეგები დადგება კოდექსის დარღვევის შემთხვევაში?

კოდექსის დარღვევა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს. კოდექსის დარღვევის შედეგად გამოიყენება:

- დისციპლინარული ღონისძიებები, რაც გამოიხატება თანამდებობრივი სარგოს ზრდის შესაძლებლობის, მოკლე ან გრძელვადიანი სამოტივაციო სქემების, თანამდებობრივი დაწინაურების შესაძლებლობის დაკარგვით ან შემცირებით;

- დროებით სამსახურიდან დათხოვნა ანაზღაურების გარეშე; ან
- დასაქმების შეწყვეტა.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)

საჭიროების შემთხვევებში VEON-ს შეუძლია დაიწყოს სამართლებრივი საქმისწარმოება და/ან აცნობოს შესაბამის ორგანოებს.

დაცული ხართ თუ არა შევიწროვებისგან?

ნებისმიერი პირი, რომელიც კეთილსინდისიერად ითხოვს რჩევას, წამოჭრის პრობლემას ან განაცხადებს შეუსაბამო ქცევის შესახებ, იცავს ამ კოდექს - და იქცევა სწორად. VEON არ დაუშვებს რეპრესალიას ან საწინააღმდეგო ქმედებას ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად განაცხადებს პრობლემის შესახებ.

სად დავსვათ კითხვები?

წინამდებარე კოდექსის შესახებ ზოგადი კითხვების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ გაესაუბროთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს, ეთიკისა და კომპლაენს ან იურიდიულ სამსახურს, პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექციას ან დაუკავშირდეთ მისამართზე compliance@veon.com compliance@beeline.ge

Q&A: კოდექსის გამოყენება

Q: ეთიკისა და კომპლაენს SpeakUp ტელეფონზე ვაპირებდი დარეკვას, თუმცა ვეჭვობ საჭიროა თუ არა. ჩემმა უშუალო ხელმძღვანელმა დამავალა ისეთი რამ, რაც არასწორი მგონია და შესაძლოა უკანონოც. ვფიქრობ ვინმეს უნდა ვუთხრა, მაგრამ მეშინია უფროსმა გაუსაძლისი არ გახადოს ჩემი სამუშაო. რა მოვიმოქმედო?

A: ღირსეულ კომპანიებში არიან ადამიანები, რომლებიც იქცევიან ისე, როგორც არ უნდა მოიქცნენ. თქვენ აღმოაჩინეთ ისეთი რამ, რაც მიგაჩნიათ სერიოზულ პრობლემად. კოდექსი ამბობს, თუ გაქვთ ეჭვი, რომ რაღაც სწორად არ ხდება, უნდა ისაუბროთ ამის შესახებ. თუ უშუალო ხელმძღვანელთან საუბრისას თავს არაკომფორტულად გრძნობთ, გაესაუბრეთ ეთიკისა და კომპლაენს გუნდს ან გამოიყენეთ SpeakUp რესურსი veon.com/speakup. VEON შეისწავლის საკითხს და არ დაუშვებს უშუალო ხელმძღვანელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ რაიმე შევიწროვების ფაქტს. სწორი საქციელი იქნება დააფიქსიროთ პრობლემის შესახებ.

VEON

“მადლობას გიხდით VEONის ქცევის კოდექსის გაცნობისათვის. ის მრავლისმომცველია, მაგრამ ასახავს სამყაროს, სადაც ვმუშაობთ და ხაზს უსვამს ჩვენი ერთგულების მნიშვნელობას - ვაკეთოთ ბიზნესი ეთიკურად და ყველა მოქმედი კანონის დაცვით.

მნიშვნელოვანი საკითხები: შეისწავლე და დაიცავი წესები, რომლებიც ვრცელდება შენზე. კითხვების შემთხვევაში, ითხოვე დახმარება. ჩვენ მხარს დაგიჭერთ და დაგეხმარებით. თუ შეამჩნიე რაიმე პრობლემა, განაცხადე. ჩვენ შევისწავლით და დავიცავთ ყველას ვინც პრობლემა კეთილსინდისიერი განზრახვით დააფიქსირა.

ერთად შეგვიძლია გავხადოთ VEON წარმატებული და ადგილი სადაც მუშაობა ყველას ეამაყება.”



ეთიკისა და კომპლაენს ოფისი

* * *

წინამდებარე ქცევის კოდექსზე უარის თქმა ან გამონაკლისის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, ჯგუფის გენერალური მდივნის და მთავარი შიდა აუდიტისა და კომპლაენს ოფიცრის სახელზე. დირექტორების ან აღმასრულებელი თანამდებობის პირების შემთხვევაში, მოთხოვნა უარყოფაზე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მხოლოდ დირექტორთა საბჭოს მიერ. უარყოფის მოთხოვნის გადაცემის შემთხვევაში, ასეთი უარყოფის სათანადოდ გამჟღავნება მოხდება, კანონის შესაბამისად.

1 ნოემბერი 2018
(რევ. ნოემბერი 2020)